# საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## უნივერსიტეტი და ბოლონიის პროცესი

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის საქმიანობას აწარმოებს საქართველოს კანონთან "უმაღლესი განათლების შესახებ" შესაბამისობაში და ბოლონიის პროცესის 10 ძირითადი ამოცანის გათვალისწინებით. კერძოდ:

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოღებულია ადვილად გასაგები და შესადარებელი კვალიფიკაციები. უნივერსიტეტის ნებისმიერი სასწავლო საფეხურის თითოეული პროგრამა დაფუძნებულია კონკრეტულ კონცეფციაზე, რომლითაც განსაზღვრულია ზუსტი კვალიფიკაცია, სწავლის მიზანი, შედეგი, ზოგადი და პროფესიული კომპეტენციები, დასაქმების სფეროები.

2007 წ-დან უნივერსიტეტში შემოღებულია სწავლების სამ საფეხურიანი სისტემა. თითეულ საფეხურზე თანამედროვე მოთხოვნებისა და ინსტრუქციის შესაბამისად მომზადდა და ამოქმედებულია საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელება ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მოპოვებული ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი გრანტების და საქართველოს სასწავლო-სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში.

2006 წ-დან უნივერსიტეტში დაინერგა საკრედიტო სისტემა (ECTS). შემუშავებულია სილაბუსის შედგენის და მისი შეფასების ფორმები, შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100 ქულიანი სისტემა. დიპლომთან ერთად გაიცემა საერთაშორისო სტანდარტის დიპლომის დანართი.

უნივერსიტეტში შექმნილია პირობები, რომელიც ხელს უწყობს ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნას. მობილობის უზრუნველყოფას. გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ჩვენი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან. აღნიშნული მემორანდუმები უზრუნველყოფენ თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი გარემოს ფორმირებას.

2006 წ-დან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის მთავარი ფუნქციაა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება, აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება და სხვ; უმთავრესი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგი მისი სრულყოფის მიზნით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მთავარი მოკავშირეა სტუდენტი, შესაბამისად მთლიანად მათზეა ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის პროცესი და ისინი არიან ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ცვლილებების განსახორციელებლად. სასწავლო პროცესის სრულყოფა ხდება სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე და ისინი არიან უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებების ინდიკატორები.

უნივერსიტეტში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნივერსიტეტების „დიდი ქარტიის" განსახორციელებლად. კერძოდ, სწავლებისა და კვლევის განუყოფელობის, კვლევისა და სწავლების თავისუფლების, სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობის მიზნით გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელთა ფარგლებში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევათ სამეცნიერო-მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაფართოების.

## დეპარტამენტები

- სუბტროპიკული კულტურების, მემცენარეობისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი
- აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტი
- აგრობიზნესისა და მენეჯმენტის დეპარტამენტი
- ტურიზმისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი
- სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგიების დეპარტამენტი
- სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და სატრანსპორტო გადაზიდვების დეპარტამენტი

## სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა



სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის ფაკულტეტზე სამეცნიერ-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს ქვეყნის სუბტროპიკული ზონის სოფლის მეურნეობის და გარემოს რეაბილიტაციის აგროტექნიკური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემების დამუშავების მიმართულებით. იგი მოიცავს სუბტროპიკული და სხვა კულტურებისათვის აგროტექნოლოგიური და აგროეკოლოგიური ლანდშაფტების და რეკრეაციული რესურსების კვლევას მათი ეკოტურისტულ ინდუსტრიაში ჩართვის პერსპექტივებით და დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში საკუთრებისა და მეურნეობრიობის რაციონალური შეთანაწყობის გზების შემუშავებას.



სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების მექანიკა-ტექნოლოგიური სრულყოფის მიმართულებით. იგი მოიცავს სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების ახალ ტექნოლოგიებს, შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობების შემუშავების და სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში ენერგორესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიებისა და მათი ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების დასაბუთებას.





I კორპუსი: ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის პრ. №21



II კორპუსი: ქ. ქუთაისი, შერვაშიძის ქ. №53


საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ. სამ. +995 231 2-06-14
ტელ. მობ. (899) 19-65-70
ტელ. სამ. +995 231 2-11-46
ტელ. მობ. +(899) 22-61-67
ტელ. სამ. +995 231 7-21-66
ტელ. მობ. +(899) 10-18-64
ელ-ფოსტა: reqtori@ssmsu.edu.ge
rolandkopaliani@yahoo.com
quality@ssmsu.edu.ge
www.ssmsu.edu.ge


სსმსუ



# უნივერსიტეტის მოკლე ისტორია



რექტორი
სრ. პროფ. როლანდ კოპალიანი

1952 წელს ქ. ქუთაისში დაარსდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, **(ამჟამად საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)** რომელიც 1959 წელს გადატანილი იქნა აფხაზეთში ქ. სოხუმში, ხოლო 1993 წელს აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დევნილის სტატუსით ფუნქციონირება გააგრძელა ისევ ქ. ქუთაისში. დევნილობამდე უნივერსიტეტს გააჩნდა უზარმაზარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური პროფესურა, სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი მეურნეობები და სასწავლო კორპუსი. დევნილობის პერიოდში ნაწილობრივ მოხერხდა აღნიშნული ბაზის აღდგენა და ინსტიტუტმა 2003 წელს მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი.

2005 წელს გატარდა განათლების რეფორმის შესაბამისი ცვლილებები: უნივერსიტეტმა გაიარა აკრედიტაცია, შეიქმნა ახალი სამსახურები, მოხდა ფაკულტეტების გამსხვილება, სასწავლო გეგმების ცვლილება და სამეცნიერო საქმიანობის შერწყმა სასწავლო პროცესთან. უნივერსიტეტში 1963 წლიდან 2007 წლამდე ფუნქციონირებდა სადისერტაციო დაცვის საბჭო. 2008 წლიდან რეფორმის გათვალისწინებით განახლდა დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოების ფუნქციონირება ფაკულტეტებზე. უნივერსიტეტში ტარდება რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, მუშავდება სამეცნიერო გრანტები და ტარდება კულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ფუნქციონირებს კომპიუტერული და ენების შემსწავლელი ცენტრები. 2006 წლიდან პერიოდულად გამოდის მრავალტირაჟიანი გაზეთი "ალიონი".

## კავშირები



საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის 25-მდე წამყვან სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან.



# ფაკულტეტები

## 1. სუბტროპიკული მეურნეობისა და ლანდშაფტური არქიტექტურის ფაკულტეტი

### საბაკალავრო პროგრამები
(სპეციალობა და სპეციალიზაციები)

**სასოფლო-სამეურნეო და სატყეო საქმე**

- აგროტექნოლოგია
- სატყეო, საბაღო - საპარკო მეურნეობა
- აგროეკოლოგია

*აკად. ხარისხი– სოფლის მეურნეობის ბაკალავრი*

### სამაგისტრო პროგრამები

- სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია
- სუბტროპიკული კულტურების აგროეკოლოგია
- სუბტროპიკული კულტურების სელექცია
- ლანდშაფტური არქიტექტურა

*აკად. ხარიხი – სოფლის მეურნეობის მაგისტრი*

### სადოქტორო პროგრამა

- სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია

*აკად. ხარისხი – სოფლის მეურნეობის დოქტორი*

### პროფესიული უმაღლესი განათლება

- აგროტექნოლოგია
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი ფერმერული მეურნეობის მენეჯერი
- აგროეკოლოგია
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი მიწათმომწყობ - რეგისტარტორი
- საბაღო-საპარკო მეურნეობა
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი ლანდშაფტის დიზაინერი

## 2. ბიზნესი და მართვის ფაკულტეტი

### საბაკალავრო პროგრამები
(სპეციალობა და სპეციალიზაციები)

**ბიზნესი და მართვა**

- აგრობიზნესის ორგანიზაცია და მართვა
- საკურორტო ტურიზმი
- ეკოტურიზმი

*აკად. ხარიხი – ბიზნესის მართვის ბაკალავრი*

### სამაგისტრო პროგრამები

- ბიზნესი და მართვა
- ეკოტურიზმი

*აკად. ხარიხი – ბიზნესის მართვის მაგისტრი*

### პროფესიული უმაღლესი განათლება

- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი აგრობიზნესის მენეჯერი
- ტურიზმი
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი ექსკურსიამძღოლი
- ტურიზმი
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი ტურიზმის მენეჯერი

## 2. სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი

### საბაკალავრო პროგრამები
(სპეციალობები და სპეციალიზაციები)

**საწარმოო და გადამამუშავებელი დარგები**

- სასურსათო ტექნოლოგია
- ბიოლოგიური ტექნოლოგია

*აკად. ხარისხი – ტექნოლოგიების ბაკალავრი*

**საინჟინრო საქმე**

- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა

*აკად. ხარისხი – საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრი*

**აგროსაინჟინრო**

- სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

*აკად. ხარისხი – აგროინჟინერიის ბაკალავრი*

### სამაგისტრო პროგრამები

- სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია
- სამადუღრო წარმოების ბიოტექნოლოგია

*აკად. ხარისხის – ტექნოლოგიების მაგისტრი*

- სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

*აკად. ხარისხი – აგრო ინჟინერიის მაგისტრი*

### სადოქტორო პროგრამები

- სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია

*აკად. ხარისხი – ტექნოლოგიების დოქტორი*

- სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

*აკად. ხარისხი – აგროინჟინერიის დოქტორი*

### პროფესიული უმაღლესი განათლება

- სასურსათო ტექნოლოგია
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი ჩაის დეგუსტატორ-ტიტესტერი
- ბიოლოგიური ტექნოლოგია
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი პურ-პროდუქტების ტექნოლოგი
- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი აგენტ-ექსპედიტორი
- სოფლის მეურნეობის მექანიზაცია
  კვალიფიკაცია – დიპლომირებული სპეციალისტი სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში

